

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიგა ნიკოლეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „გამ ჯგუფი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ელიკაშვილის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,

ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე გარე განათების ბოძებზე საბანარო და სადროშე კონსტრუქციების (თანმდევრი მომსახურებით - მონტაჟი, უკვე არსებული ძველი კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება), შესყიდვა. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, რაოდენობები და ერთეულის ღირებულებები მოცემულია მიმწოდებლის ფასების ცხრილში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 ფურცელი).

2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), განცხადების ნომერი - NAT170009644.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 59339,99 (ორმოცდაცხრამეტიათას სამასოცდაცხრამეტი ლარი და 99 თეთრი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი - 44200000 - სტრუქტურული მასალები; 44212320 - სხვადასხვა სახის კონსტრუქციები

2.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა (თანმდევრი მომსახურებით - დემონტაჟი/მონტაჟი/დასაწყობება): ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქალაქი თბილისის მასშტაბით, შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული ტერიტორიები.

3.3 ფასების ცხრილის (დანართი N1) 1-4 პოზიციით გათვალისწინებული საქონლის (კონსტრუქციის) დამზადება უნდა მოხდეს ესკიზების (ესკიზი N1 (1.1, 1.2 და 1.3), ესკიზი N2 (2.1, 2.2 და 2.3), ესკიზი N3 (3.1, და 3.2) და ესკიზი N4 (4.1, და 4.2)) შესაბამისად.

3.4 დემონტაჟი-დასაწყობება გულისხმობს თითოეულ ბოძზე არსებული ერთი ან რამოდენიმე ძველი კონსტრუქციის დეტალების დემონტაჟს (ჩამოჭრას) და დასაწყობებას შემსყიდველის მიერ მითითებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ სასაწყობო ბაზებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

3.5 თითოეული კონსტრუქცია დამუშავებული უნდა იყოს ანტიკოროზიული ხსნარით და დაიფაოს საღებავით (შავი, რუხი ან ვერცხლისფერი, მოთხოვნის შესაბამისად).

3.6 მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ფასების ცხრილის 1-4 პოზიციებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების (თანმდევრი მომსახურება - მონტაჟი) და დემონტაჟის ღირებულება ანაზღაურდება მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების მიხედვით (რაოდენობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით).

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს.

4.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში იგი უნდა შეიცვალოს ახლით შემსყიდველის მოთხოვნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

4.4 შესყიდვის ობიექტის დეფექტის/წუნის/ხარვეზის გამო ახლით შეცვლის შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დაარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმომადგენელ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული სანქციის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის შემსყიდველის კონკრეტული დავალებით განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს

- მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულებების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

12.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკავთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599166088; 595293404; საკონტ. პირი ქ-ნი მანანა ელიკაშვილი, ელექტრონული ფოსტა: elikashvili.manana@mail.ru.

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 577158646. საკონტ. პირი ქ-ნი ნინო ნიშნიანიძე, ელექტრონული ფოსტა: n.nishnianidze@tbilisi.gov.ge.

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა ოურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქალაქი თბილისი,
ქ. შარტავას ქ. №7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

გ. ნიკოტყეშვილი



მიმწოდებელი:

შპს „გმმ ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, ვარკეთილი მე-4 მკ/რ, მე-3
კვ. კორპ. N7, ბინა N80.
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE48BG000000262441400
ს/ კოდი: 406032485

შპს „გმმ ჯგუფი“-ს
დირექტორი

მ. ელიკაშვილი



ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: შპს "სმმ ჯგუფი".....

N	დასახელება	შენიშვნა: მანქანური მანქანათმშენებელი (სატრანსპორტო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად)	გამზ. კომპანია	რაოდენობა	ერთ. ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოძებნე საბანარე და სადროშე	გარე განათების მოძებნე განათავსებელი ცალფართიანი საბანარე კონსტრუქცია (თანმდელი მომსახურებით - მონტაჟი) (1.1, 1.2, 1.3 ექსპეზების შესაბამისად)	ცალი	223	55.426	12359.99
2	კომსტრუქციების (თანმდელი მომსახურებით - მონტაჟი)	გარე განათების მოძებნე განათავსებელი ორფართიანი საბანარე კონსტრუქცია (თანმდელი მომსახურებით - მონტაჟი) (2.1, 2.2, 2.3 ექსპეზების შესაბამისად)	ცალი	87	100	8700
3	უკვე არსებული ძველი კონსტრუქციების (თანმდელი მომსახურებით - მონტაჟი)	მცირე ზომის სადროშე კონსტრუქცია (თანმდელი მომსახურებით - მონტაჟი) გარე განათების მოძებნე განათავსებლად (3.1, 3.2 ექსპეზების შესაბამისად)	ცალი	362	50	18100
4	კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყოებება	გარე განათების მოძებნე განათავსებელი დიდი ზომის სადროშე ორფართიანი კონსტრუქცია (თანმდელი მომსახურებით - მონტაჟი) (4.1, 4.2 ექსპეზების შესაბამისად)	ცალი	93	120	11160
5		გარე განათების მოძებნე არსებული ძველი და ნიანბნული კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყოებება	ცალი	902	10	9020
სულ ჯამი:						59339.99

შენიშვნა:

ფასების ცხრილის წარმოდგენილობა ან/და განუფასებელი ფასების ცხრილის წარმოდგენა, დაზუსტებას არ დაეცემება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

სატენდერო წინადადების ფასში პრეტენდენტმა საჭიროების მიწოდებასთან ერთად უნდა გაითვალისწინოს შეყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (ტრანსპორტირება და სხვა) და გადასახადი.

1-4 პოზიციებზე შეყიდვის ობიექტის საგარანტო ვადა მიიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი



Handwritten signature

მ. გ. გ. გ. გ.